პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

# ლელო

№ 129 (4639)

1972 წ. 4 ივლისი, სამშაბათი.

ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტისა და პროფკავშირთა რესპუბლიკური საბჭოს ორგანო

ЛЕЛО Орган Комитета по физической культуре и спорту при Совете Министров ГССР и республиканского Совета профсоюзов

გაზეთი გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან

## გულითადი შეხვედრები





რიგაში ა. კუშნირთან მატჩში გამარჯვებული, მსოფლიოს ოთხგზის ჩემპიონი მოჭადრაკე ქალთა შორის ნონა გაფრინდაშვილი 1 ივლისს ჩამოვიდა თბილისში მოსკოვ—თბილისის მატარებლით. აღტაცებული გულშემატკივრები დაუხვდნენ მას სამტრედიაში, ხაშურში, გორში, თბილისში.

... მატარებელი გორში ჩამოდგა. გორელები ყვავილებითა და ტრანსპარანტებით შეხვდნენ სახელოვან ქართველ მოჭადრაკეს. აი, ვაგონის კარში გამოჩნდნენ ნონა და მისი მეუღლე ა. ჭიჭინაძე პატარა დათოთი. აქვეა მთავარი მასპინძელიც — საქართველოს კომპარტიის გორის რაიკომის პირველი მდივანი, სოციალისტური შრომის გმირი რ. მზიშვილი (იხ. ზედა სურათი).

თბილისის ვოგზალზე მსოფლიო ჩემპიონს კიდევ უფრო მეტი ქომაგი და პატივისმცემელი დაუხვდა (იხ. ქვედა სურათი). აქ არიან ქართული სპორტის მესვეურნი და მათი თავკაცი — საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზკულტურისა და სპორტის კომიტეტის თავმჯდომარე გ. სიხარულიძე. კვლავ ცოცხალი ვარდები, მიხაკები...

... ჩემპიონი ღია მანქანით მოტოციკლისტთა თანხლებით შინისკენ მიემგზავრება პლეხანოვის, რუსთაველისა და ი. ჭავჭავაძის პროსპექტების გავლით. გზაში მას თბილისელები მიესალმებიან.

გულშემატკივრებმა საამაყო მოჭადრაკეს კიდევ ერთხელ აგრძნობინეს, რამდენ გაიხარეს ა. კუშნირთან ძნელ პაექრობაში მისი გამარჯვებით.

ვ. გენგიურისა და მ. ზარგარიანის ფოტოები.

## [illegible]-72

● **ბუდაპეშტი**, 2 ივლისი. უნგრეთისა და ჩეხოსლოვაკიის მძლეოსანთა მატჩში სტუმარმა — ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელმა ე. გლეზკოვამ მსოფლიო რეკორდი გაიმეორა 100 მეტრზე რბენაში — 11,0 წამი. იგი მსოფლიოში მეოთხე სპორტსმენი ქალი გახდა, ვინც ეს წინძილი ასეთ დროში დაფარა.

● **რიგა**, 2 ივლისი. დღეს აქ სტარტი აიღო ველოსიპედისტ ქალთა მრავალდღიანმა საკავშირო რბოლამ, რომელიც ლატვიის გზებზე ჩატარდება. შეჯიბრებაში მონაწილეობენ მოკავშირე რესპუბლიკების, მოსკოვისა და ლენინგრადის საუკეთესო მრბოლელები, რომელთა შორის არიან მსოფლიოს ორგზის ჩემპიონი ა. კონკინა და სსრ კავშირის პირველობებში მრავალგზის გამარჯვებული ლ. ზადოროჟნაია. მონაწილეები ერთ კვირაში 8 ეტაპად დაყოფილ ტრასას გაივლიან, რომლის სიგრძე 500 კილომეტრზე მეტია. ველორბოლის მონაწილენი ერთმანეთს შეეჯიბრებიან რიგ-რიგი და საერთო სტარტით რბოლებში, გუნდურ რბოლაში. ველორბოლის ტრასა სიგულდაში მდინარე გაუის ნაპირებზე და რიგის ავტოდრომზე გაივლის. ამ ადგილებში კი, მოგეცათ ლხენა, მაღალი სიჩქარის განვითარება შეიძლება.

● **იუჯინი** (ორეგონის შტატი), 2 ივლისი. ამერიკის ამ ქალაქში ერთბაშად ორმა მძლეოსანმა— ე. ჰარტმა და რ. რობინსონმა (ორივე — აშშ) გაიმეორეს მსოფლიო რეკორდი (9,9 წამი) 100 მეტრზე რბენაში. მსოფლიო რეკორდი გაიმეორა, აგრეთვე, დ. უოთლმა (აშშ), რომელმაც 800 მ 1 წუთსა და 44,3 წამში გაირბინა.

## [illegible]-72

## [illegible]

**იუჯინი** (ორეგონის შტატი), 3 ივლისი. [illegible] მძლეოსანთა მისარჩევ შეჯიბრებაში, რომ[illegible] მიხედვითაც ამ ქვეყნის ოლიმპიური ნაკრები დაკომპლექტდება, ოლიმპიური თამაშების ჩემპიონმა, ცნობილმა ჭოკით მხტომელმა ბ. სიგრენმა 563 სმ სიმაღლე გადალახა, რაც 4 სანტიმეტრით სჯობს შვედ ჩ. იზაქსონთან ამერიკელის „თანაავტორობით" დამყარებულ მსოფლიო რეკორდს.

ოლიმპიური ნაკრების წევრობის უფლება მოიპოვეს, აგრეთვე, 21 წლის სპორტსმენებმა ს. სმითმა და ი. ჯონსონმა, რომლებმაც პირველად დაძლიეს 550 სმ.

**ჰააგა**, 3 ივლისი. 15 წლის ჰოლანდიელმა მოსწავლემ ანკე რეინდერსმა ევროპის რეკორდი დაამყარა თავისუფალი სტილით 400 მეტრზე ცურვაში — 4.28,8. ეს შედეგი 2,3 წამით უკეთესია ასევე ჰოლანდიელის ჰანსიო ბეინსხოტენის ამასწინანდელ მიღწევაზე.

## ბობ სიგრენი: 563 სმ!

## 100 მეტრზე: ე. გლეზკოვამ — 11,0, ე. ჰარტმა და რ. რობინსონმა — 9,9!

# ბოლო წუთებში...

კიევი. „დინამოს" სტადიონი. 2 ივლისი.

„დინამო" (კიევი) — „ლოკომოტივი" (თბილისი) 6:7 (0:3).

„**დინამო**": ივანოვი, უდინცევი, ადამაიტისი, კიტაიცევი, ფელდვიშკო, ბოიკო, მასალკინი, რუხლიადევი, გორგო, ლიპეშკო, ბესპალოვი, სოკოლოვი (ბორისკინი), გერასიმენკო, იგნატოვი, ზადირაკა.

„**ლოკომოტივი**": გოგორიშვილი (ლაზიშვილი), ნაცვლიშვილი, აიწურაძე, რეხვიაშვილი, ხანებლიძე, კემულარია, თემურ რუხაძე, ბენდიაშვილი, ხარშილაძე, კილასონია, გეგეშიძე, ფურცელაძე, მირონოვი (კაპანაძე), თენგიზ რუხაძე, აბაშიძე.

მსაჯი გ. ფორმინი (მოსკოვი).

მასპინძლებმა წინა ორ ტურში წაგებით სატურნირო მდგომარეობა საგრძნობლად გაიუარესეს. თუ საკუთარ მინდორზე თბილისის „ლოკომოტივს" დაამარცხებდნენ, უკრაინის სპორტსმენები მეტად საჭირო ორ ქულასაც მიიღებდნენ და მათთვის ერთ უსიამო ტრადიციასაც დაარღვევდნენ. საქმე ისაა, რომ დინამოელებს საკავშირო პირველობების არც ერთ კალენდარულ მატჩში არ მოუგიათ ქართველი სპორტსმენებისთვის.

კიევის „სპარტაკთან" შეხვედრის დროს რკინიგზელებმა შერკინების ჩამკეტის გარეშე ითამაშეს. თბილისელებმა ამჯერად ზედმეტ რისკს თავი აარიდეს და პირველ ყოვლისა დაცვის რიგების გამაგრებისთვის იზრუნეს. თავდაპირველად ნათელი გახდა, რომ მასპინძლები ცდილობდნენ გამუდმებული შტურმით, დაცვის ხაზს უკან ბურთის განუწყვეტელი ჩაკიდებით გამოეყენებინათ მცველთა ყველა პატარა შეცდომაც კი. მათ ამ ტაქტიკური ჩანაფიქრის განხორციელებაში ნაწილობრივ ამინდიც დაეხმარა: განუწყვეტლივ ცრიდა და სველი ბურთი შედარებით ტექნიკური და ხელით თამაშის მოყვარული თბილისელებისთვის ძნელი დასამორჩილებელი იყო.

სტუმრები დაცვაში ზუსტად თამაშობდნენ და რამდენიმეჯერ ძალიან სახიფათო კონტრიერიშის საშუალებაც მიეცათ. კიეველები იღბლად გადაურჩნენ გოლს, როცა ნახევარმცველების კილასონიასა და ხარშილაძის წამოწყებული კომბინაცია ჩათვლის მოედნიდან რამდენიმე მეტრის დაშორებით გოგორიშვილმა ვერ დააგვირგვინა.

პირველი ტაიმის მიწურულს მასპინძლები მინდვრის ცენტრში ნაცვლიშვილთან ორთაბრძოლის დროს ზედმეტ „გულმოდგინებას" იჩენდნენ და დაჯარიმდნენ. ბრწყინვალედ დაარტყა თენგიზ რუხაძემ, რომელმაც 45 მეტრიდან გაატარა ბურთი კარის ძელებს შორის — 3:0.

თამაშის განახლებისას მასპინძელთა რიგებში მოთამაშე მწვრთნელის ბორისკინის გამოჩენამ კიეველებს მოგების წყურვილი შემატა, თბილისელები კი ნაადრევად დამშვიდდნენ: დაცვის ხაზი მარაოს გამოყენებითა და ბურთის ხელი გადაცემით იერიშს სიმწვავეს უკარგავდა. კიეველებმა ამით კარგად ისარგებლეს და მარჯვენა ფრთიდან წამოიწყეს შეტევა, რომელიც უდინცევმა დაასრულა (რუხლიადევმა რეალიზაცია გამოიყენა). 6:3 „დინამოს" სასარგებლოდ.

გოლებმა სტუმრები გამოაფხიზლა. თამაშის სადავეები ისევ მათ იგდეს ხელთ. ახლა კიეველები ცდილობდნენ გვერდით ხაზს იქით ბურთის გადაგდებით ტემპის შენელებას. მასპინძლები უხეში თამაშისთვის ხშირად ჯარიმდებოდნენ, მაგრამ სტუმრებმა ვერც ერთი შესაძლებლობა ვერ გამოიყენეს. განსაკუთრებით აღსანიშნავია ის მომენტი, როცა აბაშიძემ და თენგიზ რუხაძემ 11 მეტრის ხაზიდან ბურთი ძელებს შორის ვერ გაატარეს.

თამაშის მიწურულს კიეველებმა საკუთარ ჩათვლის მოედანზე უმისამართოდ მოიგერიეს ბურთი. მასთან პირველნი აღმოჩნდნენ სტუმრები — ლაზიშვილი და ბენდიაშვილი. ამ უკანასკნელმა ბურთი კიეველთა ჩათვლის მოედანზე დადო.

ძნელი და საპატიო გამარჯვებაა!

**რ. აიწურაძე.**
(ჩვენი სპეც. კორ.).

## რაგბი 72

### სსრ კავშირის ჩემპიონატი

● ●

სსრ კავშირის ჩემპიონს — ი. გაგარინის სახელობის სამხედრო-საჰაერო აკადემიის გუნდს IV ტურშიც გასვლითი მატჩი ჰქონდა, ამჯერად მას გუშინწინ ქვეყნის ექს-ჩემპიონი — მოსკოვის სპორტკლუბ „ფილის" კოლექტივი მასპინძლობდა. ღირსეულ მეტოქეთა შეხვედრის პირველმა ტაიმმა უპირატესობა არც ერთ გუნდს არ მოუტანა (6:6), შესვენების შემდეგ კი გაგარინელები ინიციატივას დაეუფლნენ და გაიმარჯვეს — 15:6.

გასულ კვირას კიდევ ერთი მატჩი ჩატარდა. საბჭოთა კავშირის შარშანდელი ჩემპიონატის ბრინჯაოს მედალოსნები — ლენინგრადის „ბურევესტნიკის" რეგბისტები შინ პირველი ლიგის დებიუტანტს — კიევის „სპარტაკს" ეთამაშნენ. გაიმარჯვეს ლენინგრადელებმა — 10:4.

შაბათს რამენსკოეში „სატურნის" სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის გუნდები — „სპარტაკი" და საავიაციო ინსტიტუტის კოლექტივი. სპარტაკელები კვლავ დიდი ანგარიშით (7:36) დამარცხდნენ.

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ბურევესტნიკი" (ლენინგრადი) | 4 | 2 | 2 | 0 | 25:18 | 6 |
| „ლოკომოტივი" (თბილისი) | 4 | 3 | 0 | 1 | 35:35 | 6 |
| სამხ.-საჰაერო აკადემია | 4 | 2 | 1 | 1 | 70:21 | 5 |
| „ფილი" (მოსკოვი) | 4 | 2 | 1 | 1 | 58:21 | 5 |
| მსი | 3 | 2 | 0 | 1 | 57:25 | 4 |
| „სპარტაკი" (კიევი) | 3 | 1 | 0 | 2 | 28:29 | 2 |
| „დინამო" (კიევი) | 4 | 1 | 0 | 3 | 33:56 | 2 |
| „სპარტაკი" (მოსკოვი) | 4 | 0 | 0 | 4 | 16:117 | 0 |

ეროვნული ბიბლიოთეკა




# მთავარი ყურადღება — ახალ კომპლექსს!

სამ თვეზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც მწყობრში ჩადგა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი საკავშირო ფიზკულტურული კომპლექსი. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1972 წლის 17 იანვრის დადგენილებამ დასაბამი მისცა ახალ იერიშს სპორტულ მწვერვალებზე, როცა ფიზიკური აღზრდის საბჭოური სისტემის პროგრამა დასახა. ამ სისტემამ ხელი უნდა შეუწყოს საბჭოთა ადამიანების მორალური და სულიერი სახის ჩამოყალიბებას, მათს ჰარმონიულ განვითარებას, მაღალნაყოფიერი და სასარგებლო შრომისთვის, სამშობლოს დასაცავად მზადყოფნას.

ახალი კომპლექსის მწყობრში ჩადგომის პირველივე დღეს — 1 მარტს — სპორტკლუბებმა „ივერიამ", „განთიადმა" და „კოლხიდამ" ფიზკულტურელები მასობრივი შეჯიბრების სტარტზე გამოიყვანეს კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად. პირველი ორი კვირის განმავლობაში საქართველოს მთავარი ინჟინრები, პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოებრივ ორგანიზაციათა ხელმძღვანელები, სამეურნეო მუშაკები მარტო ორგანიზატორთა როლში როდი გამოდიან. მაგალითად, სატელეგრაფო აპარატურის ქარხნის დირექტორმა ბ. თოთლაძემ და საქარხნო კომიტეტის თავმჯდომარემ ვ. რუხაძემ თვითონაც მიიღეს მონაწილეობა ცურვაში ნორმატივების ჩაბარებაში. მსგავსი მაგალითის დასახელება მრავლად შეიძლება.

უნდა აღინიშნოს ისიც, რომ სპორტული ბაზების უმეტესობას შეემატა მძლეოსნური სექტორები, სარბენი ბილიკები, სპეციალური ინვენტარი და აღჭურვილობა. ინვენტარის დიდ ნაწილს (ბირთვები, ხელყუმბარები, ღერძები) თავად საწარმოთა ფიზკულტურელები და სპორტსმენები აკეთებენ.

ამას წინათ შედგა „განთიადის" ცენტრალური საბჭოს მორიგი პლენუმი. ყურადღების ცენტრში იყო „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსის დანერგვის საკითხი, პირველი მიღწევები და შედეგები, ღონისძიებანი ადგილებზე ჩვენი ორგანიზაციების მუშაობის გაუმჯობესებისთვის. კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ აფხაზეთსა და აჭარაში, ქუთაისში, გორში, ცხაკაიაში, ზესტაფონში, ჭიათურაში, რუსთავში ფიზკულტურელთა უმეტესობა უკვე ეუფლება ახალ კომპლექსს, აბარებს ნორმატივებს.

სამწუხაროდ, თბილისის საიუველირო ფაბრიკაში, № 3 წისქვილკომბინატში და ზოგიერთ სხვა ორგანიზაციაში ჯერ კიდევ ვერ გამონახეს მუშაობის საინტერესო ფორმები, მთლიანად ვერ შეისწავლეს ახალი კომპლექსის ყველა უპირატესობა და სათანადოდ ვერ იღვწიან მის დასანერგად.

საყვედურს იმსახურებენ თელავის, მარნეულის, მცხეთის, საგარეჯოსა და სხვა რაიონების ფიზკულტურული ორგანიზაციები, რომლებიც სუსტად მუშაობენ კომპლექსის დანერგვისთვის.

სამაგიეროდ, მადლობა ეკუთვნის პროფესიულ კავშირთა რესპუბლიკურ კომიტეტთან არსებულ ფიზიკური კულტურისა და სპორტის ბევრ საზოგადოებრივ დარგობრივ საბჭოს. აქ შექმნილია ახალი კომპლექსის კომისიები, დამუშავებულია მეთოდური და პრაქტიკული მითითებები იმ აქტივისტების, საზოგადოებრივი მუშაკებისა და მწვრთნელებისთვის, რომლებიც უშუალოდ სასწავლო-საწვრთნელ პროცესსა და ნორმატივების ჩაბარებას ხელმძღვანელობენ. მარტო საფეიქრო და მსუბუქი მრეწველობის მუშაკთა პროფკავშირის დარგობრივ საბჭოში ნორმატივების ჩაბარებას საწარმოთა 10 ათასზე მეტი მუშაკი შეუდგა. ფეიქრებმა დარგობრივი სპარტაკიადაც კი ახალი კომპლექსის საფუძველზე გარდაქმნეს. წინასწარი ზონალური შეჯიბრებების უმეტესობა ნორმატივების მასობრივად ჩაბარებასაც ითვალისწინებს. შექმნილია ახალი კომპლექსის კომისია, რომელსაც ყველა რაიონში აბარებდნენ ნორმატივებს ოქროსა და ვერცხლის სამკერდე ნიშნებზე ხელყუმბარის ტყორცნაში, ბირთვის კვრაში, სიგრძეზე და სიმაღლეზე ხტომაში, 100 და 600 მეტრზე რბენაში. ჩვენს ხელთ არსებული მონაცემებით, ნორმატივების ჩაბარებას 25 ათასამდე მუშა და მოსამსახურე შეუდგა ამჟამად საზოგადოების თითქმის ყველა ფიზკულტურის კოლექტივმა, „განთიადის" თითქმის ყველა რაიონულმა, საქალაქო და საოლქო საბჭომ შესაბამისად გარდაქმნა მუშაობა და მთავარ მიზნად ახალი კომპლექსის დანერგვა დაისახა.

პრაქტიკულ მუშაობაში მტკიცე დასაყრდენად იქცა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს აპრილის დადგენილება „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი საკავშირო კომპლექსის შემოღების შესახებ".

კმაყოფილებით უნდა აღინიშნოს, რომ ახალი კომპლექსის დანერგვისთვის მუშაობაში აქტიურად ჩაებნენ სამეურნეო, პარტიული, პროფკავშირული და კომკავშირული ორგანიზაციები ადგილებზე, დოსააფის კომიტეტები, სამედიცინო პუნქტები, სხვადასხვა საზოგადოებრივი ორგანიზაცია. ბევრ ფიზკულტურის კოლექტივში ახალი კომპლექსის კომისიებს სათავეში უდგანან საწარმოთა ხელმძღვანელები, კულტურული მუშაკი ვ. გედევანიშვილი მეთაურობს. კომისიის შემადგენლობაში შედიან პროფკავშირის რაიონული კომიტეტის მდივანი მ. ნათაძე, საფაბრიკო კომიტეტების თავმჯდომარეები, საწარმოო ტანვარჯიშის მეთოდისტები, აქტივისტები, საუკეთესო სპორტსმენები.

უახლოეს დღეებში მოეწყობა მასობრივი ტურისტული შეკრება, რომელიც მიზნად ისახავს კომპლექსის ნორმატივების ჩაბარების ორგანიზაციას შესაბამის განყოფილებაში.

კომპლექსის დასანერგად წარმატებით მუშაობენ მეტალურგების, ენერგეტიკოსების, ქიმიკოსების, მშენებლების პროფკავშირები. აქ ფიზკულტურის კოლექტივებში რამდენიმე ათასი მუშა და მოსამსახურე გამოვიდა კომპლექსის ნორმატივების ჩასაბარებლად გამართული შეჯიბრებების სტარტზე.

დიდ როლს თამაშობს შესაბამისი საზოგადოებრივი ფიზკულტურული კადრების დროულად მომზადება. საზოგადოების პრეზიდიუმის გადაწყვეტილებით, ორგანიზებულია საერთო ფიზიკური მომზადების საზოგადოებრივ ინსტრუქტორთა სემინარები. სხვა პროფილის საზოგადოებრივი კადრების მოსამზადებელი სემინარების სასწავლო გეგმებში ყურადღება უმთავრესად ახალ კომპლექსზეა გამახვილებული.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სხვა მნიშვნელოვან ღონისძიებებთან ერთად საზოგადოების პრეზიდიუმმა სოციალისტური შეჯიბრება გამოაცხადა ახალი კომპლექსის ჩაბარებაში მშრომელთა რაც შეიძლება ფართოდ ჩასაბმელად. დაწესებულია ვიმპელები, სიგელები, პრიზები. შეჯიბრებაში გამარჯვებულს ცენტრალური საბჭოს გარდამავალი წითელი დროშა ელის.

დიდ ყურადღებას მოითხოვს სააგიტაციო-პროპაგანდისტული მუშაობის სწორი ორგანიზაცია. სამწუხაროდ, ჩვენ კიდევ არა გვაქვს საკმარისი პლაკატები, ცხრილები, ბროშურები ახალი კომპლექსის ნორმატივებით. ბევრ რამეს ადგილებზე თავისი ხელით აკეთებენ ფიზკულტურელები. თავიანთი სტადიონი შესანიშნავად გააფორმეს სპორტკლუბ „განთიადის" (დიმიტროვის სახელობის საავიაციო ქარხანა) მუშაკებმა. ნორმატივების ჩაბარების დროს აქ საზეიმო, ამაღლებული, მხიარული განწყობილებაა. შემთხვევითი როდია, რომ ეს სპორტული ბაზა თავისებურ „ეპიცენტრად" იქცა მიკრორაიონში: აქ ნორმატივებს აბარებენ თბილისის მეფუნთუშეები, ტრიკოტაჟის ოსტატები, ქიმიკოსები, მშენებლები...

ლოზუნგებმა, მოწოდებებმა, ტრანსპარანტებმა, მრავალტირაჟიანმა გაზეთებმა, რადიოინფორმაციებმა, კედლის გაზეთებმა ხელი უნდა შეუწყოს მთავარი ამოცანის შესრულებას. „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსი საერთოსახალხო საკუთრებად უნდა იქცეს. „განთიადის" მრავალრიცხოვანი აქტივი თავს არ ზოგავს, რომ პარტიისა და მთავრობის მითითებები შეასრულოს, უზრუნველყოს მუშა-მოსამსახურეთა 140-ათასიანი არმიის აქტიური მონაწილეობა ახალი კომპლექსის მასობრივად დანერგვაში. ეს ჩვენი საპატიო და უმნიშვნელოვანესი ამოცანაა.

ა. გიორგობიანი,
„განთიადის" ცენტრალური საბჭოს თავმჯდომარე.

# განთიადელებს გადალი არ ჰყავდათ

საგზატკეცილო ველოსპორტში თბილისის იუნიორთა პირველობამ ცოტა უნდს მოუყარა თავი. ყველაზე ხვავრანად წარმოდგენილი იყო „განთიადი": ამ სპორტსაზოგადოებამ საასპარეზოდ სამი კოლექტივი გამოიყვანა. თითო გუნდით იბრძოდნენ „სპარტაკი", „ლოკომოტივი" და „შრომითი რეზერვები".

კი მაგრამ, იკითხავს მკითხველი, სად იყვნენ ქალაქის დანარჩენი სპორტსაზოგადოებების წარმომადგენლები? მართლაც სად იყვნენ „დინამოს" ან „ბურევესტნიკის" ველოსიპედისტები? რატომ აარიდეს ასპარეზობას თავი განათლების განყოფილების სპორტსმენებმა?

„დინამომ" თავის გამართლების მიზნით ასეთი არგუმენტი წამოაყენა. წამყვანი ველოსიპედისტები კიევში არიან წასული საასპარეზოდ. უკრაინის დედაქალაქში, თუ არ ვცდებით, ორი დინამოელია. განა ამით ამოიწურება „დინამოს" შესაძლებლობანი? ნუთუ საზოგადოების ექვსი კვალიფიციური მწვრთნელის საქმიანობა მხოლოდ ამ ორ ველოსიპედისტზეა აგებული?

„დინამოს", „ბურევესტნიკსა" და განათლების განყოფილებას მუდამ ჰყავდათ ძლიერი სპორტსმენები, რომლებიც წარმატებით იბრძოდნენ არა მარტო საქალაქო, არამედ რესპუბლიკურ შეჯიბრებებშიც. ამიტომაც მათი გამოუსვლელობა უნდა განვიხილოთ როგორც გულგრილობა, თუ გნებავთ, უსულგულო დამოკიდებულება ველოსპორტის განვითარებისადმი.

„განთიადის" სპორტსმენთა უპირატესობა პროგრამის სამივე სახეობაში უდავო იყო: ყველა I ადგილი მათ მოიპოვეს. ინდივიდუალურ რბოლაში 25 კილომეტრზე უძლიერესი იყო ს. ჩოპური — 37.59,0. II და III ადგილებიც განთიადელებმა გ. ვოლკოვმა და ა. კოჩიევმა დაისაკუთრეს. პირველის დროა 38.27,2, მეორესი — 39.13,9.

50 კილომეტრზე გუნდური ასპარეზობა ისევ „განთიადის" სპორტსმენთა უპირატესობით აღინიშნა — 1:15.20,0. II ადგილზე გასულმა „სპარტაკმა" გამარჯვებულთან 2 წუთზე მეტი წააგო — 1:17.37,0. III ადგილი ხვდა „ლოკომოტივს" — 1:19.11,0.

75-კილომეტრიანი ჯგუფური რბოლაც ჩოპურის გამარჯვებით დამთავრდა. მას, ფაქტიურად, კონკურენტი არ ჰყავდა და მეორე პრიზიორს მთელი 8 წუთი მოუგო. ჩოპურის დროა 1.52.44,0, ხოლო ვოლკოვისა — 2:01.00,0. III ადგილზეა განთიადელი ვ. შუკოვი — 2.01.01,0.

ნ. ახვლედიანი.

## ტელეგრაფის სტრიქონით

**გორი**

რაიონის სკოლების მოსწავლე მძლეოსანთა შეჯიბრებაში 245 ბავშვი მონაწილეობდა. გუნდური პირველობა ატენელებმა დაისაკუთრეს. II ადგილზეა ქვეშის გუნდი, III — ქვახვრელის სკოლის კოლექტივი.

გ. მთვარელიძე,
სპორტსკოლის დირექტორი.

მოსწავლეთა რესპუბლიკური...

# აღმავლობის გზაზე




უფროსი ასაკის მოსწავლე ფეხბურთელთა სპარტაკიადო შეჯიბრებაში თბილისელთა უპირატესობა აშკარა იყო: გოგონათა (მწვრთნელი ა. თევოსიანი) და ჭაბუკთა (ლ. სტეპანიანი) გუნდებმა ყველა მატჩი „მშრალი" ანგარიშით (3:0) მოიგეს და დამაჯერებლად მოიპოვეს I ადგილები.

მართალია, სხვა კოლექტივებმა თბილისელებს ჯეროვანი მეტოქეობა ვერ გაუწიეს, მაგრამ მათს შორის უკეთესი ადგილებისთვის ბრძოლა მაინც პრინციპული და უშეღავათო იყო. მომდევნო საპრიზო ადგილები აფხაზეთისა და სამხრეთ ოსეთის ფრენბურთელებმა დაიკავეს. უნდა აღინიშნოს, რომ წინა წლებთან შედარებით სამხრეთ ოსეთის ფრენბურთელებმა დიდი ნაბიჯი გადადგეს წინ და დამსახურებულად დაიკავეს III ადგილები. ოსეთის გუნდები დაკომპლექტებული იყო სხვა კოლექტივებთან შედარებით ახალგაზრდა მოთამაშეებით. მათ შორის ბევრია ისეთი, ვინც მომავალში კარგი სამსახური უნდა გაუწიოს რესპუბლიკის ნაკრებს. ბუნებრივია, ასე რომ წარიმართოს საქმე, გეგმაზომიერი და საგულდაგულო ვარჯიშია საჭირო. პერსპექტიული მოთამაშეები ჰყავთ აფხაზეთის და ქუთაისის გუნდებსაც.

რესპუბლიკის ჭაბუკთა ნაკრებში ახლა ბევრი ნიჭიერი ფრენბურთელი თამაშობს. უფრო მეტიც, ზოგიერთი მათგანი საბჭოთა ქვეყნის ახალგაზრდულ ნაკრებშიც კი გამოდის (მაგალითად, აფხაზეთის წარმომადგენელი ვ. დოროხოვი და თბილისელი ვ. ტკაჩენკო). ისინი წლეულს სსრ კავშირის ახალგაზრდული ნაკრების ღირსებას დაიცავენ ჩეხოსლოვაკიაში, გდრ-ში, პოლონეთში. აღსანიშნავია, აგრეთვე, თბილისელი მ. კალანდაძე, რომელიც საბჭოთა კავშირის ჭაბუკთა ნაკრების წევრია. ეს ფაქტები მიუთითებენ, რომ საქართველოში ჭაბუკთა ფრენბურთი აღმავლობის გზაზე დგას.

# უამრავი საზრუნავი

მოკრივეთა გუნდური პირველობის გათამაშებისას იშვიათი ამბავი მოხდა: თბილისისა და აფხაზეთის ნაკრებმა კოლექტივებმა ქულათა თანაბარი რაოდენობა დააგროვეს (50-50) და ორივე გუნდს პირველობა მიეკუთვნა. III ადგილზე გავიდა ქუთაისის ნაკრები (40 ქულა).

წონითი კატეგორიების მიხედვით სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ: თ. ქართველიშვილი, ე. კაფაროვი, რ. აირაპეტოვი (ყველა — თბილისი), ნ. ცავა, ნ. ჩაკლოვი (ორივე — აფხაზეთი), ო. სავინიხი (თბილისი), ა. გელენიძე (ქუთაისი), დ. აივაზიანი (ახალციხე), ს. საფონოვი (აფხაზეთი), გ. შავიძე, ბ. კირთაძე (ორივე — ქუთაისი) და ა. მელეტიანი (აფხაზეთი).

შეჯიბრებაზე ბევრმა მოკრივემ მიიპყრო სპეციალისტთა ყურადღება. თბილისისა და აფხაზეთის სპორტსმენთა გარდა თავი გამოიჩინეს ფოთისა და ახალციხის ნორჩმა მოკრივეებმა. მომავალში მათგან ალბათ ბევრი კარგი ოსტატი დადგება. მოკრივეთა ერთი ნაწილი რინგზე თავს დამაჯერებლად გრძნობდა, გამოირჩეოდა ზუსტი და ძლიერი დარტყმით, ტაქტიკური მომზადებით.

მაგრამ მოკრივეთა უმეტესობას სწორედ ზემოჩამოთვლილი თვისებები აკლდა. შეჯიბრების მონაწილენი ერთფეროვნად იბრძოდნენ, აკლდათ სათანადო ფიზიკური მომზადება. ერთი სიტყვით, ბავშვთა კრივში მომუშავე მწვრთნელებს უამრავი საზრუნავი აქვთ. მით უმეტეს, რომ სპარტაკიადის რინგზე პერსპექტიული და ნიჭიერი მოკრივენი გამოჩნდნენ.

# ეს არ კმარა!

ჩოგბურთელთა პირადი პირველობა ორ ასაკობრივ ჯგუფად ჩატარდა. 1955-57 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის სპარტაკიადის ჩემპიონი გახდა მ. ელერდაშვილი, ჭაბუკთა შორის — მ. ფირცხალავა. 1958-59 წლებში დაბადებულ გოგონათა შორის იმარჯვა ლ. აბუაშვილმა, ჭაბუკებში — გ. ელერდაშვილმა. გოგონათა წყვილებში I ადგილი მოიპოვეს მ. ელერდაშვილმა და ი. მირიმანოვამ, ჭაბუკთა წყვილებში—მ. ფირცხალავამ და ა. კეკელიამ. უნდა აღინიშნოს, რომ სპარტაკიადის ყველა ჩემპიონი თბილისელია.

თბილისელები გუნდურ ასპარეზობაშიც პირველნი იყვნენ. II ადგილზე გავიდა აფხაზეთის ნაკრები, III — გარდაბნისა.

შეჯიბრებამ გვიჩვენა, რომ ახლა ბავშვთა შორის ჩოგბურთის განვითარებას სერიოზულად ეკიდებიან რესპუბლიკის მთელ რიგ რაიონებშიც. განსაკუთრებით კარგად მუშაობენ გლდანისა და გარდაბნის სკოლა-ინტერნატებში. საკმარისია ითქვას, რომ სამხრეთ ოსეთის თითქმის მთელი ნაკრები დაკომპლექტებული იყო ამ ინტერნატების მოსწავლეებით, რომლებიც აქ ოსეთიდან ჩამოვიდნენ სწავლის გასაგრძელებლად. ეს კარგია, მაგრამ თვით ოსეთში სათანადო ყურადღება რომ მიექცეს კორტების მშენებლობას, იქაც შეიძლებოდა კარგი ჩოგბურთელების აღზრდა.

ყურადღება მიიპყრეს აფხაზეთის გოგონათა გუნდმა და აჭარის ჭაბუკთა კოლექტივმა.

მიუხედავად ამისა, რაც რესპუბლიკის რაიონებში კეთდება ჩოგბურთის განვითარებისთვის, საკმარისი ჯერ კიდევ არ არის. რაიონებიდან უფრო კარგად მომზადებულ სპორტსმენებს ველით.

# მხოლოდ ოთხმა...

წყალში მხტომელთა შეჯიბრებამ არცთუ ბევრი მონაწილე მიიზიდა: აფხაზეთიდან სარბიელზე გამოვიდა 10 მოსწავლე, თბილისიდან — 14, ქუთაისიდან — 6. ეს არცაა გასაკვირი, ვინაიდან რესპუბლიკის სხვა ქალაქებში ამ სახეობის განვითარებისთვის საჭირო პირობები არ არის.

წლევანდელი შეჯიბრება ჩატარდა ოთხ ასაკობრივ ჯგუფად, რაც უთუოდ მისასალმებელია. გოგონათა გუნდური ასპარეზობა მოიგეს თბილისელებმა, ჭაბუკთა შეჯიბრებაში იმარჯვეს აფხაზეთის წარმომადგენლებმა. ორივე ასპარეზობის ჯამში I ადგილზე თბილისის ნაკრები გავიდა.

სპარტაკიადის ჩემპიონები გახდნენ თბილისელები მ. ნოზაძე და ს. შალიბაშვილი (1960-61 წლებში დაბადებულნი), თბილისელი ს. ხიკოლოტოვა და აფხაზეთის წარმომადგენელი ვ. მიმინოშვილი (1958-1959 წლებში დაბადებულნი), აფხაზეთის სპორტსმენები ი. დიუკანოვა და ა. დერიაბინი (1956-57 წლებში დაბადებულნი), აფხაზეთის წარმომადგენელი ო. ნაჭყებია და თბილისელი ს. ვართანოვი (1955 წელს დაბადებულნი).

ამ შეჯიბრების მთავარი ღირსება ის გახლდათ, რომ სარბიელზე მრავლად ვიხილეთ უმცროსი ასაკის მოსწავლეებიც.

უნდა აღინიშნოს, რომ მოსწავლე წყალში მხტომელთა ტექნიკური მომზადება ჯერ კიდევ დაბალია. ამაზე ისიც მიუთითებს, რომ სათანრიგო ნორმატივები მხოლოდ ოთხმა მონაწილემ შეასრულა (1960-61 წლებში დაბადებულებმა). ტექნიკური მოუმზადებლობის გამო რამდენიმე სპორტსმენი შეჯიბრებიდან მოიხსნა.

როგორც ხედავთ, სპორტის ამ სახეობაში ჯერ კიდევ მოვიკოჭლებთ.

„ლელოს" ბრიგადა.

# უიმბლდონის კორტებზე

**ლონდონი, 2 ივლისი.** შერეულ წყვილთა თანრიგში წარმატებით იასპარეზეს მოსკოველმა ო. მოროზოვამ და თბილისელმა ა. მეტრეველმა: მათ დაამარცხეს ბელგიელთა დუეტი — მ. გურდალი და ბ. მიჩნოტი — 6:2, 6:3. მანამდე უცხოეთის სააგენტოებმა გაავრცელეს მცდარი ცნობა, თითქოს საბჭოთა ჩოგბურთელებმა უიმბლდონის ტურნირში შერეულ წყვილთა შეხვედრა წააგეს. ფაქტიურად, ეს ცნობა ეხებოდა ტურნირს, რომელიც წინ უსწრებდა უიმბლდონის ასპარეზობას.

გამარჯვება მოიპოვეს ბაქოელებმა ე. ბირიუკოვამ და ს. ლიხაჩოვმაც: მათ სძლიეს ს. ჰოლდსვორტსა და ს. მატჰევსს (ორივე — დიდი ბრიტანეთი) — 7:5, 8:6.

მერვედფინალში წარუმატებლად ითამაშა მოროზოვამ, რომელმაც წააგო ავსტრალიელ...ებთან — 6:3, 0:6, 7:9.

წყვილთა შეჯიბრებას გამოეთიშნენ ბირიუკოვა და ალმაათელი მ. კროშინა. მათ წააგეს მატჩი ინტერნაციონალურ დუეტთან — ე. ემანუელთან და ქ. მარტინესთან — 2:6, 9:7, 4:6.

# მიუნხენი-72

## სსრ კავშირის პირველობა

### მოგებები, ფრეები

2 ივლისს ჩატარდა ორი მატჩი.

„ზენიტი"—„დინამო" (კიევი) 2:2.

ხანგრძლივ წარუმატებლობათა შემდეგ ლენინგრადელები, როგორც იქნა, ახლოს იყვნენ გამარჯვებასთან, მაგრამ საბოლოოდ მაინც დაკარგეს ქულა. ანგარიში 43-ე წუთზე გახსნა ხრომჩენკოვმა, ხოლო შემდეგ, მე-60 წუთზე ნიკოლაევმა კიდევ უფრო დააწინაურა „ზენიტი" — 2:0. კიეველებმა ძალიან ძლიერად ჩაატარეს მატჩის ბოლო ნაწილი და იხსნეს ქულა — 2:2 (კოლოტოვი — 65-ე წ., ბლოხინი — 76-ე წ.).

„არარატი" — „დინამო" (მოსკოვი) 0:0.

თამაშის პირველი ნახევარი მიმდინარეობდა დაძაბულ ბრძოლაში, შესვენების შემდეგ კი ინიციატივა მასპინძლებს ჰქონდათ და დინამოელებს დასჭირდათ ზედმეტი მცველის შემოყვანა (ბაიდაჩნი შეცვალა დოლბონოსოვმა).

### უმაღლესი ლიგა

### გათამაშების ცხრილი

მდგომარეობა 4 ივლისისთვის

| | თ. | მ. | ფ. | წ. | ბ. | ქ. |
|---|---|---|---|---|---|---|
| „ზარია" | 13 | 9 | 2 | 2 | 23—10 | 20 |
| „დინ." (თბ.) | 12 | 7 | 3 | 2 | 14—5 | 17 |
| „დინ." (კ.) | 12 | 5 | 4 | 3 | 19—15 | 14 |
| ცსკა | 12 | 6 | 2 | 4 | 13—14 | 14 |
| „ტორპედო" | 13 | 5 | 4 | 4 | 11—14 | 14 |
| „არარატი" | 13 | 4 | 5 | 4 | 17—10 | 13 |
| „დნეპრი" | 12 | 3 | 6 | 3 | 11—16 | 12 |
| „დინ." (მ.) | 11 | 4 | 3 | 4 | 12—12 | 11 |
| „სპარტაკი" | 11 | 4 | 3 | 4 | 10—10 | 11 |
| „ზენიტი" | 13 | 3 | 5 | 5 | 16—18 | 11 |
| „დინ." (მნ.) | 12 | 3 | 5 | 4 | 9—11 | 11 |
| „ყაირათი" | 13 | 2 | 7 | 4 | 9—11 | 11 |
| ასკ | 13 | 4 | 3 | 6 | 15—18 | 11 |
| „ნეფთჩი" | 11 | 3 | 3 | 5 | 9—13 | 9 |
| „კარპატი" | 13 | 3 | 3 | 7 | 10—17 | 9 |
| „ლოკომოტ." | 12 | 2 | 4 | 6 | 8—15 | 8 |

## ორი ნახევარფინალი — 0:0 და 2:0

2 ივლისს მოსკოვის ვ. ი. ლენინის სახელობის ცენტრალურ სტადიონზე შედგა სსრ კავშირის თასის გათამაშების ორი ნახევარფინალური მატჩი.

პირველად მინდორზე გამოვიდნენ მოსკოვის გუნდები — ცსკა და „ტორპედო". 90-წუთიან ბრძოლას გოლი არ მოჰყოლია — 0:0.

შემდეგ ერთმანეთს შეხვდნენ მოსკოვის „სპარტაკი" და ლვოვის „კარპატი". სპარტაკელებმა გაიმარჯვეს პისკარიოვისა (მე-40 წ.) და ჰუსაინოვის (50-ე წ.) მიერ გატანილი გოლების წყალობით — 2:0.

საკავშირო თასის გათამაშება წლეულს, როგორც ცნობილია, ნახევარფინალების ჩათვლით ორ წრედ მიმდინარეობს. ცსკა-სა და „ტორპედოს", აგრეთვე, „სპარტაკისა" და „კარპატის" განმეორებითი ნახევარფინალური მატჩები 28 ივლისს გაიმართება მოსკოვსა და ლვოვში.

## „სიჭაბუკის თასზე"

### პირველი მოგება

**კასპიისკი, 2 ივლისი (ჩვენი სპეც. კორ.).** დაღესტნის ამ ქალაქში დაიწყო „სიჭაბუკის თასზე" ნორჩ ფეხბურთელთა საკავშირო გათამაშების ნახევარფინალური ტურნირი. ამ ჯგუფში მონაწილეობენ საქართველოს, ლატვიის, სომხეთის, აზერბაიჯანის, ყაზახეთისა და თურქმენეთის ნაკრები კოლექტივები.

I ტურში საქართველოს ნაკრები (მწვრთნელები ა. ვარდიაშვილი და თ. კუბლაშვილი) შეხვდა ლატვიის გუნდს. ომიაძის, ბურკაძისა და კიკაბიძის მიერ გატანილმა გოლებმა გამარჯვება მოუტანა ჩვენს კოლექტივს — 3:0.

სომხეთისა და აზერბაიჯანის ფეხბურთელთა შეხვედრა დამთავრდა ფრედ — 0:0.

ყაზახეთისა და თურქმენეთის გუნდების მატჩი არ შედგა, ვინაიდან თურქმენეთის ნაკრები დროზე ვერ ჩამოვიდა სათამაშოდ.

4 ივლისს საქართველოს ფეხბურთელები სომხეთის გუნდს შეხვდებიან.

**ნ. ამირეჯიბი.**

# როდის დაიწყება მატჩი?

ჭადრაკში მსოფლიო პირველობაზე ბ. სპასკი (სსრ კავშირი) — რ. ფიშერის (აშშ) მატჩის დაწყების დღესაც (მატჩის საზეიმო გახსნა წინადღით მოეწყო) გაურკვეველია, საერთოდ გაიმართება თუ არა ეს ორთაბრძოლა. ფიშერი წილისყრაზე არ გამოცხადდა, რაც ფიდე-ს წესების დარღვევაა. ესიც უპრეცედენტო შემთხვევაა, რომ წილისყრა პირველი პარტიის დღისთვის გადაიტანეს. დღეს ფიშერმა ორგანიზატორებს დეპეშით შეატყობინა, რომ რეიკიავიკში 2 ივლისს ჩამოფრინდება და ითხოვს მატჩის პირველი პარტია სამშაბათისთვის გადაიტანონ მისი ავადმყოფობის გამო.

კვლავ დაირღვა ფიდე-ს წესი, რომ თამაშიდან ერთ-ერთი მონაწილის გათავისუფლება შეუძლია მხოლოდ შეჯიბრების ოფიციალურ ექიმს და ისიც მხოლოდ მატჩის გამართვის ადგილზე.

2 ივლისს, 12 საათზე ადგილობრივი დროით, მსოფლიო ჩემპიონი სპასკი სასტუმრო „ლოფტლეიდერში" წილისყრაზე მივიდა. ის და მისი სეკუნდანტი ე. გელერი მიიწვიეს თათბირზე, რომელსაც ფიდე-ს პრეზიდენტი მ. ეივე (ჰოლანდია) ხელმძღვანელობდა. თათბირს პრესის წარმომადგენლები არ დასწრებიან.

შემდეგ ფიდე-ს პრეზიდენტმა ჟურნალისტებს განუცხადა, რომ მან სთხოვა სპასკის მატჩის პირველი პარტია ორი დღით გადაიდოს და ახლა მსოფლიო ჩემპიონის პასუხს უცდის.

დიახ, ეივეს ისე გამოუვიდა, როგორც ჭადრაკის თამაშში ხდება ხოლმე. იმის მაგიერ, რომ ფიშერის დისკვალიფიკაცია გადაეწყვიტა, მან თავისი „სვლა" გააკეთა და საკითხის გადაჭრის სიმძიმე მსოფლიო ჩემპიონს დააკისრა. ეივემ სპასკის პასუხისთვის ორი საათი მისცა. მსოფლიო ჩემპიონმა ამ დროის გასვლამდე უპასუხა, რომ ამ უპრეცედენტო სიტუაციაში პარტნიორის და გადაწყვეტილების მიღება პრეზიდენტის მოვალეობაა.

ეივემ სასწრაფოდ მოიწვია ახალი პრეს-კონფერენცია და გამოაცხადა, რომ გადაწყვეტილებას 2 ივლისის საღამოს მიიღებს, მას შემდეგ, რაც ტელეფონით ფიდე-ს აღმასკომის წევრების აზრს შეიტყობს. მანამდე კი იგი მხოლოდ ორ ვარიანტს ხედავს: ან დისკვალიფიკაცია მიეცეს ფიშერს, ან პირველი პარტია ორი დღით გადაიდოს. ეივემ მყისვე დაიწყო რეკვა ინგლისში, იუგოსლავიაში და სხვა ქვეყნებში...

და აი, როგორც იქნა, ეივემ ფიდე-ს ხელმძღვანელობის სახელით გამოაცხადა, რომ მატჩის პირველი პარტია 4 ივლისსაა დანიშნული. მან თქვა რომ, თუ თამაშის დაწყებამდე რამდენიმე საათით ადრე წილისყრაზე არ გამოცხადდა ფიშერი დისკვალიფიცირებული იქნება.

**ა. ერმაკოვი.**
**(საქდესის სპეც. კორ.).**

რეიკიავიკი, 3 ივლისი.

### ✦ ზესტაფონი

ფეროშენადნობთა ქარხნის სპორტულ დარბაზში ჩატარდა რაიონული შეჯიბრება თავისუფალ ჭიდაობაში ჭაბუკთა შორის. წონითი კატეგორიების მიხედვით გაიმარჯვეს: ნ. კოლდიანმა, გ. ხახუტაშვილმა, რ. მერკვილაძემ, ო. ფერაძემ, მ. წაქაძემ, ა. ვეფხვაძემ, გ. ბრეგვაძემ, ა. გურგენიძემ, გ. ღელაშვილმა და თ. ჭუმბურიძემ.

* * *

გაიმართა რაიონის ფიზკულტურული აქტივის კრება, რომელმაც იმსჯელა „მზად ვარ შრომისა და სსრ კავშირის დაცვისთვის" ახალი კომპლექსის შემოღებასთან დაკავშირებით რაიონის ფიზკულტურულ-სპორტული ორგანიზაციების ამოცანებზე. მოხსენებით გამოვიდა ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე კ. ბაზაძე.

**ა. განუგრაევა.**

### ✦ ქარელი

მოეწყო კალათბურთელ ვაჟთა რაიონული პირველობა. ყველას აჯობეს ხილ-კონსერვიანი ღვინოების ქარხნის სპორტსმენებმა. II ადგილი ხვდა ბავშვთა სპორტული სკოლის გუნდს, III—ელექტრომექანიკური ტექნიკუმის კოლექტივს.

**შ. კუტალაიშვილი,**
**ფიზკულტურისა და სპორტის რაიონული კომიტეტის თავმჯდომარე.**

### ✦ ქობულეთი

აქ ორ დღეს მიმდინარეობდა რაიონის სოფლის სკოლების პირველობა მძლეოსნობაში. სარბიელზე 22 კოლექტივი გამოვიდა. შეჯიბრება სამ ასაკობრივ ჯგუფად ჩატარდა, საერთო გუნდური I ადგილი 376 ქულით ხვდა ულიანოვკის საშუალო სკოლამ დაიკავა. II ადგილზეა მუხაესტატეს სკოლა — 351,5 ქულა, III — ზენითელთა გუნდი — 269.

**ბ. სიორიძე,**
**„კოლმეურნის" რაისაბჭოს ინსტრუქტორი.**

## ■ საინტერესო პარტია
## ■ ოჯახურ სიმყუდროვეში





ა. ალიოხინის ხსოვნისადმი მიძღვნილი დიდი საერთაშორისო ტურნირი იყო ბ. სპასკის ბოლო შეჯიბრება, სადაც მან რ. ფიშერთან მატჩის წინ ითამაშა. ზედა სურათიც სწორედ ამ ტურნირის დროსაა გადაღებული. ეს-ესაა მსოფლიო ჩემპიონმა დაამთავრა შეხვედრა ახალგაზრდა დიდოსტატ ა. კარპოვთან (ზურგით ზის). პარტია ყაიმით დასრულდა, მაგრამ იმდენად საინტერესო იყო, რომ მეტოქენი ისევ დაუბრუნდნენ მას. — არჩევენ, აანალიზებენ.

ჭადრაკის გამო მსოფლიო ჩემპიონს თავისი ოჯახი არასოდეს დავიწყებია. მეუღლე ლარისა და 5 წლის ვასია (მათ ქვედა სურათზე ხედავთ), აგრეთვე, უფროსი გოგონა ტანია სპასკის ნამდვილი მეგობრები არიან. ეს ძალიან ამხნევებს მას მძიმე საჭადრაკო ბრძოლების დროს.

საქდესის ფოტოქრონიკისა და ა. მაისტერმანის ფოტოები.

# ტურნირი ბრაზილიაში

## „ინდეპენდენსიას თასზე"

**ბრაზილიის** დამოუკიდებლობის 150 წლისთავისადმი მიძღვნილ საერთაშორისო საფეხბურთო ტურნირში 2 ივლისს გაიმართა მორიგი შეხვედრები.

საბჭოთა ფეხბურთელები შეხვდნენ არგენტინის ნაკრებს და დამარცხდნენ — 0:1.

ბელუ-ორიზონტიში გამართული მატჩის ერთადერთი გოლი 27-ე წუთზე გავიდა. საბჭოთა ფეხბურთელებს ბევრჯერ მიეცათ ანგარიშის გათანაბრების საშუალება, მაგრამ კარგად თამაშობდა არგენტინელთა მეკარე სანტორო.

საბჭოთა გუნდმა ასეთი შემადგენლობით ითამაშა: ტკაჩენკო, ს. კუზნეცოვი, მალიგინი, პინჩუკი, ჟურავლიოვი, კოპიი, ვასენინი, ვ. კუზნეცოვი (ბიშოვეცი), სემიონოვი, ელისეევი, ონიშჩენკო.

პორტუგალიისა და ურუგვაის გუნდების მატჩი ფრედ დამთავრდა — 1:1. ამ ჯგუფში 3 ქულით ლიდერობენ პორტუგალიის ფეხბურთელები. სსრ კავშირისა და არგენტინის გუნდებს 2-2 ქულა აქვთ, ხოლო ურუგვაელებს — 1.

6 ივლისს საბჭოთა გუნდის მეტოქე იქნება პორტუგალიის ნაკრები, რომელშიც ძალიან ძლიერად თამაშობს ეუსებიო.

პარალელურ ფინალურ ჯგუფში ბრაზილიელებმა დამაჯერებლად სძლიეს იუგოსლავიის ნაკრებს — 3:0. შოტლანდიისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების მატჩი ფრედ დასრულდა — 0:0. აქ წინ არიან ბრაზილიელები — 3 ქულა. შოტლანდიისა და ჩეხოსლოვაკიის ფეხბურთელებს 2-2 ქულა აქვთ. იუგოსლაველებს — 1.

ტურნირის მორიგი მატჩები გაიმართება 6 ივლისს.




# მეტოქეები ცნობილი არიან

მიუნხენი, 3 ივლისი. აქ გამართული წილისყრის შემდეგ ცნობილი გახდნენ საბჭოთა კალათბურთელების მეტოქეები XX ოლიმპიადის „ბ“ ჯგუფში. ესენი არიან: მსოფლიო ჩემპიონი — იუგოსლავიის ეროვნული გუნდი, იტალიის, სენეგალის, პუერტო-რიკოს, გფრ-ის, ფილიპინების ნაკრები კოლექტივები, აგრეთვე, გუნდი, რომელიც II ადგილს დაიკავებს აუგსბურგში (გფრ), სადაც 10-16 აგვისტოს 13 ქვეყნის კალათბურთელები ოლიმპიადის ორ საგზურს გაითამაშებენ.

ცნობილია საბჭოთა ნაკრების შეხვედრების თარიღებიც: 27 აგვისტოს — სენეგალის გუნდთან, 28-ში — გფრ-ის კალათბურთელებთან, 29-ში — იტალიელებთან, 30-ში — აუგსბურგის შეჯიბრების მეორე პრიზიორთან, 1 სექტემბერს — ფილიპინელებთან (31 ივლისი დასვენების დღეა), 2-ში — პუერტო-რიკოს ნაკრებთან, 3-ში — იუგოსლავიის ეროვნულ გუნდთან.

„ა“ ჯგუფში იასპარეზებენ აშშ-ს, იაპონიის, კუბის, ავსტრალიის, ეგვიპტის, ჩეხოსლოვაკიის, ბრაზილიის ნაკრები გუნდები და აუგსბურგის ტურნირის პირველი პრიზიორი.

# მოულოდნელი შედეგით

მიუნხენი, 1 ივლისი. დღეს სსრ კავშირისა და იტალიის კალათბურთელთა ნაკრები გუნდების მატჩით საზეიმოდ გაიხსნა კიდევ ერთი ოლიმპიური ბაზა: „ოლიმპია-ბასკეტბალ-ჰალე“. დარბაზში 6 ათასამდე დასაჯდომი ადგილია. 218 სავარძელი საპატიო სტუმრებისთვისაა განკუთვნილი, 306 — ჟურნალისტებისთვის. ამას გარდა, გამოყოფილია სპეციალური ადგილი მონაწილეთათვის. ამ ახალ ბაზას „ბასკეტბალ-ჰალე“ პირობით ჰქვია: ოლიმპიადის დამთავრების შემდეგ კალათბურთელებს გარდა აქ იასპარეზებენ ჩოგბურთელები, ხელბურთელები და ფრენბურთელები.

წინასაოლიმპიადო ტურნირში გამარჯვებისთვის საბჭოთა და იტალიელი კალათბურთელების გარდა იბრძვიან ჩეხოსლოვაკიელები და მასპინძლები. პირველ ტურში მეტოქეები სწორედ ასეთი თანმიმდევრობით დაწყვილდნენ.

სსრ კავშირის ნაკრებმა (სასტარტო ხუთეული: ედეშკო, პაულაუსკასი, ვოლნოვი, ა. ბელოვი, ჟარმუხამედოვი) დაამარცხა იტალიის გუნდი — 95:75 (46:24). საბჭოთა კალათბურთელთა შორის თავი გამოიჩინეს: პაულაუსკასმა — 17 ქულა, დვორნიმ — 15, ჟარმუხამედოვმა — 14, ბოლოშევმა — 13, ვოლნოვმა — 10. ნაკრების თერთმეტი წევრიდან მოედანზე მხოლოდ ს. ბელოვი არ გამოსულა.

მოულოდნელი შედეგით დამთავრდა გფრ-ისა და ჩეხოსლოვაკიის გუნდების შეხვედრა. გაიმარჯვეს ოლიმპიადის მასპინძლებმა — 73:66.

# დარჩა მხოლოდ 48 სანტიმეტრი



ძმები ზნამენსკების მემორიალში (მოსკოვი) კარგად გამოვიდა საქართველოს პოლიტექნიკური ინსტიტუტის სტუდენტი, დინამოელი ი. ფხაკაძე (მწვრთნელი გ. მაიერი), რომელიც უროს ტყორცნაში საქართველოს რეკორდებს ყოველწლიურად აუმჯობესებს. ფხაკაძემ ყველაზე დიდ წარმატებას მიაღწია სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადისთვის მზადების პერიოდში, როცა იუნიორთა საკავშირო რეკორდი დაამყარა. სპარტაკიადაში მან რესპუბლიკის ნაკრებს ჩათვლა მისცა.

ფხაკაძემ შედეგები წლეულს უფრო აამაღლა: მოსკოვის თასის გათამაშებაში პირველად გადალახა 70-მეტრიანი ზღვარი — ურო 70,14 მეტრზე ტყორცნა, რაც მისსავე რესპუბლიკურ რეკორდს 40 სანტიმეტრით სჯობდა.

ზნამენსკების მემორიალში მან ახალი ზღუდე გადალახა — ურო 71,52 მეტრზე ტყორცნა და დიდ საერთაშორისო ტურნირში, რომელშიც 15 ქვეყნის მძლეოსნები გამოდიოდნენ, III ადგილი დაისაკუთრა. მას მხოლოდ ტოკიოს ოლიმპიადის ჩემპიონმა, მინსკელმა რ. კლიმმა (71,88) და ზაპოროჟიელმა ვ. დმიტრიენკომ (71,53) აჯობეს.

საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატის ზღვარს ფხაკაძეს ახლა მხოლოდ 48 სანტიმეტრი აშორებს.

ა. მოშიაშვილმა, რომელმაც ამას წინათ აუგსბურგში გფრ-ის მძლეოსნებთან სსრ კავშირის ათლეტების მატჩში 110 მეტრზე თარჯრბენში მხოლოდ მასპინძელ ე. ნიკელთან (13,82) წააგო სულ რაღაც 0,13 წამი, ისევე როგორც ვ. სანეევმა, ზნამენსკების მემორიალში არ იასპარეზა. საბჭოთა ოლიმპიელებისთვის მემორიალში გამოსვლა სავალდებულო არ იყო, ვინაიდან სსრ კავშირის ოლიმპიური ნაკრების წევრთა შერჩევისთვის უფრო მეტი როლი ენიჭება „დინამოსა“ და შეიარაღებულ ძალთა გუნდების მატჩს, რომელიც 8-9 ივლისს გაიმართება და რომელშიც ქვეყნის ყველა ოლიმპიელი უნდა გამოვიდეს.

გაგაცნობთ მემორიალის სხვა გამარჯვებულებს, რომელთა შედეგები არ გამოგვიქვეყნებია. ქალები. რბენა. 400 მ. ლ. რუნცო — 53,6; 1500 მ. ლ. ბრაგინა — 4.14,8. 100 მეტრზე თარჯრბენი — ლ. სვეშნცევა — 13,5. ვაჟები. რბენა. 200 მ. ნ. რახმანოვი (ყველა — სსრ კავშირი) — 21,5; 400 მ. ვ. პატინესი (ვენესუელა) — 47,2; 800 მ. ვ. პორივკინი — 1.48,0. თარჯრბენი. 110 მ. ე. მაზეპა — 13,8; 400 მ. ვ. სავჩენკო — 50,5. 3000 მ წინაღობებით. ს. სკრიპკა — 8.28,6. 20 კმ-ზე სპორტული სიარული. ა. სოლომინი — 1:30.26,8. შუბის ტყორცნა. ნ. გრებნევი — 82,52. ბადროს ტყორცნა. ჯ. კუუსემიაე — 59,90. სამხტომი. მ. ბარიბანი—16,63. ჭოკით ხტომა. გ. ბლიზნეცოვი (ყველა — სსრ კავშირი) — 520.

* * *

მემორიალის სამი მთავარი პრიზიდან ერთ-ერთს — 10000 მეტრზე რბენაში ბელგრადელი სტუდენტი დ. კორიცა დაეპატრონა.

სურათზე: 10000 მეტრზე შეჯიბრების მომენტი. წინაა დ. კორიცა.

ვ. ტრუშნიკოვის ფოტო. („იზვესტია“).

# პირველად მოპოვებული თასები

2 ივლისს ლუჟნიკის სპორტის სასახლეში გამოვლინდა სპორტულ ტანვარჯიშში სსრ კავშირის თასების წლევანდელი მფლობელები. ქალთა შორის ეს საპატიო პრიზი პირველად მოიპოვა ბელორუსიის ქალაქ გროდნოს ერთ-ერთი საშუალო სკოლის კურსდამთავრებულმა, 17 წლის ოლგა კორბუტმა, რომელმაც მრავალჭიდში 76,275 ქულა მოაგროვა.

სასიხარულოა მამაცი სპორტსმენი ქალისა და მისი მწვრთნელის რ. კნიშის დიდი წარმატებები, ისევე როგორც საერთოდ ბელორუსიელ ტანმოვარჯიშეთა მიღწევები. გასულ ზაფხულს ვიტებსკელმა სტუდენტმა თ. ლაზაკოვიჩმა სსრ კავშირის ხალხთა V სპარტაკიადაში მრავალჭიდში გაიმარჯვა, მერე მსოფლიოს აბსოლუტურ ჩემპიონ ლ. ტურიშჩევასთან კონტინენტის აბსოლუტური ჩემპიონის ტიტული გაიყო, ახლა კი კორბუტმა გაიმარჯვა.

განსაკუთრებით დაძაბული იყო ქალთა გადამწყვეტი შეჯიბრება ნებისმიერი პროგრამით.

რვა უძლიერესმა ასპარეზობა ხტომით დაიწყო. საუკეთესო შეფასება ხვდათ ბურდასა და ტურიშჩევას — 9,5-9,5. მაგრამ აი, სპორტსმენები ორძელზე გადავიდნენ. ტურიშჩევას კომბინაცია ბრწყინვალე იყო: სამი „ბზრიალა“, თანაც ერთი — 720-გრადუსიანი. შეფასებაც შესაბამისი იყო — 9,65. მაგრამ კორბუტი აქ ნამდვილ სასწაულებს ჩადიოდა — მარტო ერთი მალაყი ზედა ძელზე რად ღირდა! მსაჯებმა მას 9,7 ქულა მისცეს.

დვირს შემთხვევით როდი ეძახიან მრავალჭიდის ჯასადებს. მსოფლიო ჩემპიონი ამ იარაღს მშვიდობიანად ვერ გადაურჩა, ჩამოვარდა. შემდეგ ჩამოკარდა სადიც. ახლა კორბუტის ჯერი დადგა და... გადარჩა. მან უზადოდ შეასრულა მალაყი დაჯგუფებაშიც. მსოფლიოში მხოლოდ კორბუტს შეუძლია თავს დვირზე ასეთი რთული ელემენტის შესრულების უფლება მისცეს. ტურიშჩევამ 9 ქულა მიიღო, კორბუტმა კი 9,7, და დაწინაურდა.

მაგრამ მსოფლიო ჩემპიონი დანებებას არ აპირებდა. თავისუფალ ვარჯიშში მსაჯებმა მას შეჯიბრების ოთხივე დღის უმაღლესი შეფასება მისცეს — 9,8 ქულა. კორბუტს გამარჯვებისთვის ხალიჩაზე 9,5 ქულა მაინც უნდა მიეღო, არადა, ახლა იგი მხოლოდ მეშვიდედ ასრულებდა თავის ახალ კომპოზიციას — „ბზიკის გაფრენას“ (ა. სელეზნიოვას და ე. ვევრიკის დადგმა). კორბუტმა აქ 9,6 ქულა მიიღო. მე ვფიქრობ, მსაჯებმა ცოტა იძუნწეს კიდეც.

კორბუტი იმთავითვე კნიშთან ვარჯიშობს. სხვათა შორის, კნიშმა მოუმზადა სსრ კავშირის ნაკრებს ისეთი ტანმოვარჯიშე ქალები, როგორიც არიან ე. ვოლჩეცკაია და ტ. ალექსეევა. 1971 წელს სსრ კავშირის ხალხთა სპარტაკიადაში კორბუტმა გაიმარჯვა გუნდურ შეჯიბრებაში და ორძელზე პირად ჩათვლაში ჩემპიონი გახდა. გაზაფხულზე სსრ კავშირის ბოლო პირველობაში კორბუტმა მრავალჭიდში ბრინჯაოს მედალი მოიპოვა. მე თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ ოლიმპიადის სარბიელზე მას ორძელსა და დვირზე ოქროს მედლებს ვერავინ შეეცილება.

ტურიშჩევა მეორე იყო — 76,125. მას საინტერესო, სოლიდური პროგრამა აქვს და ვიმედოვნებთ, რომ მიუნჰენში დვირიდან არ ჩამოვარდება.

ტანმოვარჯიშე ქალთა შეჯიბრების დროს მე ამომავალი ვარსკვლავის, 14 წლის თბილისელი მოსწავლის ნინა დრონოვას გვერდით ვიჯექი (ხვალ მას თაბაშირს მოხსნიან და ალბათ კვლავ დაიწყებს წვრთნას).

— კორბუტი ყოჩაღი გოგოა, — მითხრა ნინამ. — ძალიან მომეწონა ლაზაკოვიჩიც. იგი ჩემი იდეალია ტანვარჯიშში.

ლაზაკოვიჩი III ადგილზეა — 75,9.

მოწინავე ექვსეულში შევიდნენ, აგრეთვე, ლ. ბურდა (ვორონეჟი) — 75,625, ე. საადი (ტაშკენტი) — 75,350, ა. კოშელი (მინსკი) — 74,975.

საადი და კოშელი ისე კარგად მოემზადნენ თასის გათამაშებისთვის, რომ გამოჩენილ ტანმოვარჯიშეებს ზ. ვორონინასა და ო. კარასიოვასაც კი აჯობეს.

ვაჟთა შორის თასი ასევე პირველად მოიპოვა 20 წლის ვლადიმირელმა ნ. ანდრიანოვმა, რომელმაც მრავალჭიდში 112,95 ქულა დააგროვა. ფინალში მან ვაჟთა ტურნირის უმაღლესი შეფასება — 9,7 ქულა მიიღო ბრწყინვალე, ჭეშმარიტად აკრობატული ნახტომისთვის. II ადგილზეა თასის შარშანდელი მფლობელი, მოსკოველი ვ. კლიმენკო — 111,95. მსოფლიოს ექს-ჩემპიონი მ. ვორონინი (მოსკოვი) მესამეა — 111,925. ექვსეულში მათ გარდა შევიდნენ: ე. მიქაელიანი (ერევანი) — 111,25, ვ. შჩუკინი (მინსკი) — 111,075, ქვეყნის ნაკრების ვეტერანი, მოსკოველი ს. დიომიდოვი — 109,975. მინსკელ ა. მალეევს ხელი მოეცარა ტაიჭზე — 8 ქულა. ლერ-ჩე ძალიან დაბალი შეფასება ხვდა ცნობილ მოსკოველ ტანმოვარჯიშეს ვ. ფოგელს — 6,9 ქულა.

ვ. დვორცოვი.
(საკდესის კორ.).

მოსკოვი.




## ჯორჯ ჰერსტი „ტრანსფერ ლისტში“

„ვესტ ჰემ იუნაიტედისა“ და ინგლისის ნაკრების ცნობილი თავდამსხმელი ჯორჯ ჰერსტი კლუბის ხელმძღვანელობამ ოფიციალურად შეიყვანა „ტრანსფერ ლისტში“ (გასაყიდ მოთამაშეთა სიაში).

„ვესტ ჰემის“ მდივანმა ე. ჩეპმენმა თქვა: „ჩვენ ჰერსტი „ტრანსფერ ლისტში“ შევიყვანეთ და „სტოკ-სიტის“ ამ მოთამაშესთან კონტრაქტის დადების ნება მივეცით“.

კლუბმა მეორედ უთხრა უარი მესამე ლიგის გუნდს „ბორნემუტს“, რომელმაც ჰერსტისთვის „ვესტ ჰემს“ 60 ათასი გირვანქა სტერლინგი შესთავაზა.

# სარბიელის ნაცვლად — საოპერაციო მაგიდაზე

ტოკიო, 1 ივლისი. ამომავალი მზის ქვეყანაში დამთავრდა საბჭოთა ძიუდოისტების ტურნე, რომელიც ტოკიოს უნივერსიტეტის პროფესორის ს. მაცუმაეს თაოსნობით მოეწყო. სხვათა შორის, მაცუმაე მოსკოვის უნივერსიტეტის საპატიო დოქტორია, ჰიდაობის დიდი მოყვარული და იაპონიის სამბისტთა ფედერაციის პრეზიდენტი.

პროფესორის წინადადებით, საბჭოთა ათლეტებმა დაუგეგმავი შეხვედრა ჩაატარეს უნივერსიტეტის ნაკრებთან. სამწუხაროდ, საჭიდაოდ გამოვიდა მხოლოდ 6 საბჭოთა ძიუდოისტი: ასპარეზობაში არ მონაწილეობდნენ გ. გოგოლაური და ე. სოლოდუხინი. პირველი წვრთნის დროს დაშავდა, მეორეს კი ბრმა ნაწლავის ოპერაცია გადაიტანა.

და მაინც, მატჩი საბჭოთა ძიუდოისტების გამარჯვებით დამთავრდა — 3:0. საინტერესოა აღინიშნოს, რომ მსჯობა იაპონური წესებით ტარდებოდა, თორემ საერთაშორისო წესებით სტუმრებმა უფრო დამაჯერებელ წარმატებას მიაღწიეს — 6:0.

იაპონური პრესა განსაკუთრებით გამოჰყოფს სამ საბჭოთა ათლეტს: ს. ნოვიკოვს, ვ. კუზნეცოვსა და გ. ონაშვილს. ონაშვილის წმინდა გამარჯვებამ იაპონელებზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

საბჭოთა სპორტსმენებთან ერთად ტოკიოში ვარჯიშობდა მსოფლიო ჩემპიონი, პოლანდიელი ვ. რიუსკა. საბჭოთა გუნდი ზეგ სამშობლოში დაბრუნდება, რიუსკა კი კიდევ მთელ თვეს დარჩება ამომავალი მზის ქვეყანაში.

რედაქტორი მ. ქაქაბაძე.

საქართველოს სსრ განათლების სამინისტროს № 1 სპორტული სკოლა-ინტერნატი აცხადებს მოსწავლეთა მიღებას 1972-73 სასწავლო წლისთვის VI, VII, VIII, IX კლასებში ფეხბურთის, მძლეოსნობის, ჭიდაობის და ველოსპორტის განხრით.

სკოლა-ინტერნატში მიიღებიან: VI კლასში — 1960 წელს დაბადებულნი, VII კლასში — 1959 წელს დაბადებულნი, VIII კლასში — 1958 წელს დაბადებულნი, IX კლასში — 1957 წელს დაბადებულნი.

სპორტულ სკოლა-ინტერნატში ჩარიცხვის მსურველებმა 20 აგვისტომდე უნდა შემოიტანონ შემდეგი საბუთები: განცხადება; დაბადების მოწმობა; ცნობა, რომელ კლასში სწავლობს, და ნიშნების ფურცელი; ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა № 191 და № 26); ორი ფოტოსურათი.

შემოწმება ჩატარდება: მძლეოსნობაში — 21-22 აგვისტოს, ველოსპორტში — 23 აგვისტოს, ფეხბურთში — 24-25 აგვისტოს, ჭიდაობაში — 26 აგვისტოს.

დაწვრილებითი ცნობების მიღება შეიძლება სკოლა-ინტერნატში ყოველდღე, 9-დან 17 საათამდე.

მისამართი: თბილისი, გლდანი, № 1 სპორტული სკოლა-ინტერნატი.

დირექცია.

ИНДЕКС 66448 — საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის გამომცემლობის სტამბა. ლენინის ქ. № 14. — უე 05499